



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 82

30/06/2017

82-03-4-201706301629



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„თამარ კილურაძის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში
საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში მთავარი სპეციალისტის
თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 31 დეკემბრის N81 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული
კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 125-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „თამარ კილურაძის ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საოქმო მომსახურების და საქმის
წარმოების საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის
შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
2014 წლის 31 დეკემბრის N81 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაინიშნოს თამარ კილურაძე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის


თანამდებობაზე საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.“.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა